ნუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| | 1 წ. | 6 თ. | | 3 თ. | | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. |
| თბილისში. | 5 | 2 | 50 | 1 | 25 | — | 50 |
| თბილ. გარ. | 6 | 3 | — | 2 | 50 | — | 60 |
| საზღ. გარ. | 10 | 5 | — | 3 | — | 1 | — |

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1) რუსეთის რევოლიუცია და პარლამენტარული რეაქცია. 2) ფელეტონი: კომმუნა პ. კროპოტკინისა. 3) ახალი ამბავი. 4) კიდევ გაზედ ,,მუშისა'' და ჟურნალ ,,ნობათის'' ფეხ-ქვეშ გათელა. 5) ვინ ამშვიდებს კავკასიას. 6) რუსეთის ქრონიკა. 7) კორრესპონდენცია. 8) წერილი რედაქციის მიმართ. 9) დეპეშა.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ა დ რ ე ს ი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 117.

№ 20 ხუთშაბათი 29 ივნისი 1906 წ. თბილისი № 20

## რუსეთის რევოლიუცია და პარლამენტალური რეაქცია.

რუსეთის ევროპიულად დაფერილი დესპოტია არ აძლევდა ადამიანს თითქმის არავითარ საშვალებას ცდილიყო თავისი თავის კალობრიული მისწრაფებითათვის მოეპოვებია გასავალი. ეს დესპოტია იწყებოდა პიროვნების ჩაგვრიდგან და ათავებდა ეროვნებათა ჩაგვრით, იწყებდა თავისი მოხრე კლასის წევრების უსაქმობით და სილატაკით და ათავებდა დამშეული ხალხის გამუდმებული შრომით, იწყებდა ახალთაობის განათლების და სწავლების საქმით, ათავებდა ამავე ახალთაობის გონებრივი დამახინჯებით, მთელი სახელმწიფოს გონებრივ სიბნელეში ჩაგდებით და ბიუროკრატიული არმიის აღზრდით.

მისი ისტორიული როლი შესდგებოდა მუდამ მშრომელ ღარიბ-ლატაკების, არასოდეს არაფრის გამკეთებელ მდიდრების, უვიც მეცნიერების, ზნეობა დაცემულ ბიუროკრატების, ლიტერატურულ მლიქვნელების არმის გამრავლებაში.

მისი თავისუფლება წარმოშობილი იყო მთელი რუსეთის ხალხების მონური ცხოვრებისაგან. მისი მეცნიერთა მეცნიერება პირდაპირი ნაყოფი იყო ხალხის უვიცობის; მისი სახელმწიფო ხაზინის სიმდიდრე პირდაპირი ნაყოფი იყო მუშა მწარმოებელ ხალხის სილატაკის; მისი სამხედრო ძლიერება, პირდაპირი ნაყოფი იყო ხალხის რევოლიუციონური სულის და ძალის დაჩაგვრის და დასუსტების; მისი საერთაშორისო მდგომარეობა პირდაპირი ნაყოფი იყო მის სახელმწიფოს ეროვნებათა დაჩაგვრის; მისი ლიბერალური ულმერთობა, ურწმუნოება პირდაპირი ნაყოფი იყო ხალხის სარწმუნოებისაგან გონების დახშობის; მისი დამქაშ კლესსების მეურნეობა პირდაპირი ნაყოფი იყო ცარცვა-გლეჯის; მისი ბიუროკრატიული ახალ-თაობის გონების მწარმოებელი ქარხანა-უნივერსიტეტი პირდაპირი ნაყოფი იყო თავისუფლების და ცოდნის მაძიებელ ხალხისთვის აგებულ საპყრობილეების; მისი ზნეობრივად, პოლიტიკურად მასაზრდოებელი ოჯახური ცხოვრების ღირსება დამყარებული და დამაგრებული იყო ზნედაცემულობის დაწესებულებაზე.

დესპოტია რუსეთში, როგორც იდეალური სახელმწიფო იყო მუდმივი რეაქცია და ჩაგრულთა პოლიტიკურ და ეკონომიურ მუდმივ ემანსიპაციონურ მისწრაფების წინააღმდეგ.

საზოგადოებრივი ძალების ამ გვარმა განწყობილებამ წარმოშვა ემანსიპაციონურ ძალების უფრო მეტი მოგროვება და მის დამაბრკოლებელი, წინააღმდევი რეაქციონურ ძალების კლება, რასაც თავის დროზე მოჰყვა რევოლიუციონურ ვულკანის მოქმედების დაწყება.

მაგრამ რეაქციონულ და რევოლიუციონურ ძალთა განწყობილება ისეთი იყო, რომლითაც ბრძოლის სასწორი თითქმის გათანასწორებული იყო. საკმარისი იყო ცოდნა ან ერთი, ან მეორე ძალის მთელი მოძრაობის განსაზღვრავად. თუ რეაქციონულ, უარყოფითი ძალების ჯამი მეტი აღმოაჩნდებოდა, რასაკვირველია, საზოგადოებრივი მოძრაობის, როგორც ყველა მოძრაობის, მიმართულება იმავე ნიშნის იქნებოდა, როგორც აღმატებული ძალა; და სწორედ ამ დროს რევოლიუციონურმა მოძრაობამ იწყო შესუსტება, უკლო ზრდას იმიტომ, რომ მისი შინაარსი ამ კრიტიკულ მომენტში გაიყო მრავალ ძალებათ, რომლებისგან ზოგმა დაასრულა თავისი რევოლიუციონური ზრდა და ამით შეუერთდა რეაქციას, ზოგი კი დარჩა ისევ რევოლიუციონური. ჩვენ ვიცით, რომ ,,დუმა'' იყო ზოგი ,,დუმის'' უწინდელ რევოლიუციონურ ძალებს განვითარების უკიდურესი ფორმა, რომელთან ერთად გათავდა მათი რევოლიუციონური ზრდა და დაიწყო რეაქციის გამრავლება, ზრდა. ,,დუმით'' გათავდა კადეტების ს.-დემოკრატების და სხვა რევოლიუციონურ ძალების ზრდა; ,,დუმის'' ახალმა მომხრეებმა გაამაგრეს რეაქცია, ის რეაქცია, რომელსაც ისინი ებრძოდენ და რომელთან ერთად თვით წარმოადგენენ გაზრდილ, გაძლიერებულ რეაქციას.

ჩვენ ვიცით, რომ კადეტები და სოციალ დემოკრატები წავიდნენ ,,დუმაში'', მაშინ როდესაც ყველა სხვა რემოლიუციონური პარტიები სოც.-რევოლიუციონერები და ეგდედ წოდებული ,,ბოლშევიკები'' უარჰყოფდნენ ამ გვარ ტაკტიკას. კადეტები და სოც.-დემოკრატები წავიდნენ ,,დუმაში'' სხვა რევოლიუციონურ პარტიათა წინააღმდეგ.

და აი სწორედ ეს რევოლიუციის მოღალატე და რეაქციით ახალი მოკავშირე სოც.-დემოკრატია ურცხვად ამბობს პარლამენტარულ დამნიშვნელთა სკამიდგან, რომ ,,თუმცა-ღა გამოდიან აქ სახელმწიფო „დუმაში“ ჯერ კიდევ მცირე რიცხოვან ფრაქციის სახით, მაგრამ ჩვენ არ შევკრთებით ჩვენი სისუსტით, რადგან ვიცით, რომ აქ „დუმაში“ და მის გარედ ჩვენ მხარს დაგვიჭერს ყველა მუშა, გლეხობა და საზოგადოთ ქონებას მოკლებული კლასი,“ ესე იგი თავისივე პირით ამბობენ, რომ თვით „დუმაში“ მყოფთ არაფერი არ შეუძლიათ, და თუ რამე გასაკეთებელი შეიქმნა, ისევ ისე ხალხმა უნდა გააკეთოსო.

მაშ რაღა მოხელე ბრძანდება სოც.-დემოკ. „დუმაში?“

რა და რეაქციონერი, აი რა არის სოც.-დემოკრატია დღევანდელ რევოლიუციის დროს.

ალი.

## ახალი ამბავი

28 ივნისს გამოვიდა გაზეთი „პროგრესი“, რომელიც იბეჭდება გუტენბერგის სტამბაში.

— 29 ივნისისათვის დანიშნულია კრება სარევიზიო კომისიის ქალაქის გამგეობის შენობაში.

— 28 ივნისს კრება ჰქონდათ უმუშაოთ დარჩენილთა ინტელიგენტების ბიუროს. ბიურომ დაამტკიცა სია იმ პირთა, რომელთაც მეტათ უჭირთ, და რომელთაც უნდა პირველათ სამუშაო მიიღონ. ბევრი ჩაწერილთაგანი აღმოჩნდენ შეძლებულათ და ამათ სამუშაო არ მიეცემათ.

— 29 ივნისს არის დანიშნული კრება ფარმაცევტებისა, კრება გენერალ გუბერნატორებისაგან ნება დართულია.

დაიწყება საღამოს 8 საათზე ალექსანდროვის ბაღში პუშკინის ბიბლიოთეკაში.

— 27 ივნისს ავჭალის ქუჩაზე მოჰკლეს მეეტლე. მკვლელები მიიმალენ. მიზეზათ მკვლელობისა იმას ასახელებენ, რომ მეეტლე ,,ხულიგანი'' იყოვო.

— მე-9 უბნის ზედამხედველებს გაიდუკოვის სიკვდილის შემდეგ სამსახურიდან გამოსვლის თხოვნა შეუტანიათ. ამ ზედამხედველებს მუქარის წერილები მისვლიათ და ამისათვის სამსახურისთვის თავის განებება გადაუწყვეტიათ, въ добрый часъ.

— 28 ივნისს დილის $9\frac{1}{2}$ საათზე დავიდოვის ქუჩაზე პორუჩიკი ტემნიკოვი გამოუდგა უკან უცნობებს რევოლვერით ხელში, წინ შეეფეთათ სალდათი, მსახური ტემნიკოვისა, რომელმაც დაიჭირა ერთი უცნობთაგანი. უცნობმა რაკი თავი ვერ დააღწია სალდათს რევოლვერიდან ესროლა და ფეხში დასჭრა. უცნობები შეიმალენ კალანთარის სახლები გრიბოედოვის ქუჩაზე ჯარებმა ალყა შემოარტყეს უცნობები, რომელთაც აღმოაჩნდათ რევოლვერები და პატრონები. შეპყრობილნი საშინელი ცემით წამოუყვანიათ კომენდანტის სამმართველოში. დაჭერილები აღმოჩდენ ერთი ლეჩხუმის მაზრის მცხოვრები ჩარკვიანი, მეორე კი თბილისის მაზრის—მამაცევი.

— 28 ივნისს. დილით, ჭავჭავაძის ქუჩაზედ დაიჭირეს სამი ყმაწვილი, რომელთაც ბრალათ ედებათ ვილაცა აფიცრის დაჭრა.

— 27 ივნისს, სახელმწიფო საბჭოს წევრს თ-დ ილია ჭავჭავაძეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ქართველმა სამღვდელოებამ: „ქართველი სამღვდელოება ღრმად დარწმუნებული, რომ მხოლოდ თავისუფალ და დამოუკიდებელს ეკკლესიას შეუძლიან განკურნოს საუკუნოებით დარჩენილი წყლულები, რომელიც მას ექსარხოსების გამგეობის დროს დააჩნდა, მტკიცედ და შეურყევლად ადგას, როგორც სალი კლდე, იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ქართველმა სამღვდელოებამ გამოსთქვა თავისს პეტიციებში. ამისათვის ქართველი სამღვდელოება გთხოვთ, გადასცეთ ახლად დანიშნულ ექსარხოსს ნიკონს, რომ იგი საქართველოსკენ არ გამოემგზავროს ექსარ-

ხოსად. ამასთან ერთად გთხოვთ, ამ ჩვენის დეპეშის შინაარსი აცნობოთ დაუყოვნებლივ მიტროპოლიტს ანტონის“.

— „ვსტან სპიაშჩის“ შეუშფოთებია თვით პეტერბურგის კლერიკალიზმის და ბიუროკრატიზმის ბუდე სინოდიც, საიდანაც ადგილობრივს სასულიერო მთავრობას შეკითხვა მოსვლია: ვისი ფულებით და ნებართვით გამოდიოდა ეს რევოლიუციონური გაზეთიო. ეპისკოპოსს პეტრესაც უპასუხნია, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ი. ბრიხნიჩევი, რომელსაც გაზეთის, გამოცემის ნებართვა საერო მთავრობისაგან ჰქონდა, ორჯერ მოვიწვიე და მინდოდა გავლენა მექონიოს, რომ ასეთი მთავრობის საწინააღმდეგო გაზეთის გამოცემისათვისო, და რევოლიუციონერების მოძრაობისათვის თავი დაენებებიოს. პირველათ თუმცა შემპირდა თავის დანებებას, მაგრამ არ აასრულა და გაზეთში წერას განაგრძობდა. სწორეთ ის იყო, უკანასკნელი ზომებისთვის უნდა მიმემართნა და მღვდელ-მოქმედება ამეკვეთა იმისათვისო, მაგრამ ამ დროს სამხედრო მთავრობამ უკვე დააპატიმრა ბრიხნიჩევიო.

### კიდევ გაზეთ „მუშისა“ და ჟურნალ „ნობათის“ ფეხქვეშ გათელა.

ქ. ქუთაისშიაც ის ამბები მოხდა რასაც სწერდენ დ. ხონიდან და დ. ქიათურიდან გაზეთ „მუშის“ შესახებ.

ქუთაისის საზოგადო სასწორზე პარკის გამყვიდველი გლეხები იყვნენ თავშეყრილი და მათ სააზნაურო გიმნაზიის მოსწავლე კომისიის წევრი.*) და ბენ. თევ-ძე უკითხავდით „კ.-ანის“ და „ალის“ პოლემიკურ წერილებს („ნობ.“ № 12 „დანოსჩიკების“ ბობოქრება, უგნურების აჯანყება და გონებრივი „ზლიპარტლების“ რევოლიუცია აზროვნების დასალშობათ და „მუშა“ № 15 მუნჯი „ლამპრის“ და მთავრობის კრიტიკა). იქვე მახლობლათ იდგა ამავე კომისიის წევრი სტუდენტი ა. ა-ნი, რომელიც თავის თავს სოციალ-დემოკრატათ სთვლის, ხელიდან გამოგვტაცა მკითხველებს ჟურნალი „ნობათი“ და გაზეთი „მუშა“ გაუწოდა მახლობლათ მოსიარულე ლორს და შემდეგი სიტყვეით მიმართა: „ჰაწაიკითხე! ლორის ნაწერია და ლორმა უნდა წაიკითხოსო“; შემდეგ ხელში დაჭმუჭნა, მიწაზედ დააგდო და ზედ ფეხით შესდგა. ჩვენ გაოცებით შევცქეროდით მას და ვკვირობდით იმის თავგასულობას; შემდეგ მოუთმენლათ დავეკითხე, თუ რისთვის ჩადიოდა ამისთანა უსინდისობას, მაგრამ იმან ჩემს სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია და რამდენიმე ძვირფასი სიტყვაც უძღვნა ამ ჟურნალ-გაზეთს (როგორი ძვირფასი სიტყვები აქნებოდა თითონ მკითხველი მიხვდება) დ მათ თანამშრომლებს. მე დავაპირე პასუხის გაცემა, მაგრამ ღირს იმისთანა კაცთან ლაპარაკი და მსჯელობა?! ამას შემდეგ მკითხველი მიხვდება იმის ამბავს, რომელსაც თავის თავს მიაჩნია განათლებულ კაცათ და და მუშა ხალხის ინტერესების დამცველათ და მკითხველმა სთქვას ყოფილა ბატ. ა-ნი მუშა ხალხის ინტერესების დამცველი თუ არა?

*) კომისია დანიშნულია იმისათვის, რომ ხალხი არ მოტყუილდეს პარკის წონაში.

### ვინ ამშვიდებს კავკასიას

ჟურნალი „მირი ბოჟი“ იუწყება, რომ უფროსი წარმომადგენელი კავკასიაში, პოლიციის დეპარტამენტისა, რასაკვირველია არ არის მხედველობაში ჩასათვლილი, დაუძლურებული გენერალი შირინკინი; ამ უკანასკნელის თანაშემწედ არის — მ. ი. გუროვიჩი.

უნდა გამოვტყდეთ, სწერს „მირ ბოჟის“ თანამშრომელი, რომ გუროვიჩს ვიცნობდით პირადად. კარგად იცნობენ პეტერბურგის ლიტერატურული წრეები, და შეიძლება ამისათვის, ვიყავით მოკლებული წაგვეკითხა ამ დრომდეს, მისი ბიოგრაფია. გუროვიჩი — ყოფილი პოლიტიკური დამნაშავეა.

გუროვიჩს, ციმბირში არავინ არ აწვდიდა ხელს, რადგანაც იგი იქ გადაიქცა აშკარა ალფონსად. ჩვენც არ ვიცოდით მისი ცხოვრება და ვფიქრობდით, ხომ არ შეიძლება ახალგაზდობის ცოდვისათვის, ვდევნოთ კაცი სამარეს პირამდე, მით უმეტეს, რომ ცდილობდა, რომ თავის წინანდელი ცოდვები გამოესყიდა, რევოლიუციის სამსახურში... გუროვიჩი, გაბმული იყო წრეებში, მიიღო ნებართვა გაზეთის გახსნ რომელიც მაშინ დიდ დაბრკოლ წარმოადგენდა. ის აგრეთვე ფურ ვებდა ფულებს, პოლიციის საქრთამად, და ჩვენ არ ვიცით, მდენი დაურიგა პოლიციელებს რავდენი მიითვისა თვითონ.

ჩვენ ვნახეთ სუროვიჩი ორ ბაზე, რომელიც ძლიერ პრო დას ეწევოდა ტერორისტულ ვაწეობაზე; თუმცა იგი ითვის მარქსისტის ტიტულს. გურო ქადაგობდა გაეწყვიტა თავის ველიც კი.

საკვირველი სისხლის მწოვ პოლიცის დეპარტამენტი, აშ ანხორციელებს ტერორს ზევ თავის მრავალ რიცხოვან აგენ ბით, რომელნიც ქადაგობენ კრ ზედ და წრეებში დაუზოგველ როს ქვევიდგან, როგორც ბათ ეშინიანთ, მშვიდიანობის მოვარდნის დროს, იგი მოსპობ იქმნებაო.

როდესაც პეტერბურგში ცელდა ხმები, რომ ეს მარქსის ტერორისტი გუროვიჩი, რომ განწყობილებაშია, საიდუმლო ლიციასთანაო, მისი მახლობლ ენერგიულად იცავდნენ მას, მაგ ისეთი უსაფუძვლო იყო იმათი გუმენტაცია, რომ არ შეიძლ რომ აქვე არ მოვიყვანოთ: წარ იდგინეთ, რისთვის არის გამოსად გი პოლიციისათვის გაიძახოდნენ სი დამცველები, ხომ იგი სულე და პროვოკაციისათვის ხომ სა როა იოტის ტოლა ჭკუა.

როგორც ბოლოს გამოაშკარ

# ფელეტონი

**კ ო მ მ უ ნ ა** *).

(გაგრძელება).

(თარგმანი პ. კროპოტკინიდან)

საშუალო საუკუნოების კომმუნას დანარჩენებთან შედარებით შეეძლო განსაზოგადოებრივებულიყო. მისი სხვა კომმუნებთან დამოკიდებულება განისაღვრებოდა პირობების შეკვრით ქალაქების უფლების მფარველობისათვის ან კომმუნის წევრების შორეულ მოგზაურობის დროს საურთიერთო დაცვისათვის. ლიგები, რომელნიც მომწყვდეულნი იყვნენ თითოეული ქალაქებით, როგორც მაგალითად იყო ლომბარდიაში, ისპანიაში და ბელგიაში, იყვნენ გაუძლებელნი (непрочные), ინტერესების და სხვადასხვაობა უპირატესობის ცალკეობისა გამო; ისინი უცბად დაიყოფოდნენ ხოლმე ცალკ-ცალკე ჯგუფებად, ანუ იღუპებოდნენ მეზობელ სახელმწიფოსგავლენისაგან.

ჯგუფები, რომელნიც ეხლა არსდებიან, ისინი იმათთან არაფერს იქონიებენ საერთოს. სულ პატარა კომმუნასაც კი ვერ იარსებებს ერთ კვირას მაინც, თუ რომ ძას მდგომარეობამ არ აიძულამ დამოკიდებულება იქონიოს სამრეწველო, სავაჭრო და არისტოკრატიულ ცენტრებთან; ეს ცენტრები, თავის მხრივ, საჭიროდ ჩასთვლიან ფართოდ გაუღონ კარები მეზობელ სოფლელების მცხოვრებთ, რომელნიც გარშემორტყმიან კომმუნებს და განშორებულ ქალაქებს.

დაე ერთ-ერთმა დიდ ცენტრთაგანმა აღიაროს თავისი თავი „კომმუნად“, მოსპოს თავისთან კერძო საკუთრება და შემოიღოს კომმუნიზმი, ე. ი. კოლექტიური სარგებლობა საზოგადო თანხით (კაპიტალით), შრომის იარაღებით, და თუ ეს ქალაქი არ იქნება გარშემორტყმული მტრების ჯარით, მაშინ რამდენიმე დღის შემდეგ აუარებელი რაზმები მიაწყდებიან თავიანთ საქონლით, სადაც თავს მოიყრის მრავალგვარი სხვა-და-სხვა ქვეყნის საქონელი; ამ ქალაქის წარმოების ნაყოფნი კი, რომელნიც დააკმაყოფილებენ მცხოვრებთა მოთხოვნას, დაუწყებენ სხვა ქვეყნებში მუშტრებს ძებნას. საზღვარ-გარეთელები მთელი სახლობით გაეშურებიან ამ ქალაქში, გაოცდებიან ამ წესიერების დანახვით და თავიანთ სახლებში ილაპარაკებენ ამ ქალაქის თავისუფალ, უმშვენიერეს ცხოვრებაზე, სადაც ყველანი მუშაობენ, სადაც არ არიან ღარიბნი, არ არიან დაჩაგრულები, სადაც თითოეული სარგებლობს თავის შრომის ნაყოფით და სადაც არავინ სცდილობს უდიდეს ლუკმის, ბევრის მოპოვებას. ექსპროპრიაციაში საშიშო არაფერია: თუ რომ შეერთებულ შტატების კომმუნისტები უკმაყოფილონიც არიან, ეს იმიტომ, რომ ბურჟუაზია ერევა მათ საქმეში და არა ექსპროპრიაცია.

ჩვენ დროში ვაჭრობამ და გაცვლა-გამოცვლამ არა თუ გადაახიჯა საზღვრებს, არამედ დაანგრია კიდევაც საშუალო საუკუნოების ქალაქების ზღუდეები. იმათ შეადგინეს ისეთი კავშირი, რომელზედაც თვით მოფიქრებაც კი შეუძლებელი იყო საშუალო საუკუნოებში. ყველა დასახლებული დასავლეთ ევროპის პუნქტები, ადგილები ისე მჭიდროდ იყო დასახლებული ერთი-ერთმანეთში, რომ იქ ექსპროპრიაციას ადგილი არ ჰქონდა. არ იყო არც ერთი ისეთი სოფელი, თუნდ ემდებარევნა მას მიუდგომელ მთაზედაც კი, რომ არ ჰქონოდა თავისი წარმოებელი და სავაჭრო ცენტრი, ურომლი დაც ის ვერ იარსებებდა.

დიდ წარმოების ცენტრების გ ვითარებას ჰქონდა დიდი მნიშ ლობა.

ჩვენ დროში პირად ინტერეს შეუძლიანთ ხელი შეუშალონ მეზობელ კომმუნების გაერთიანებ აღძრან მათ შორის შური, შფო და გამოიწვიონ სასტიკი ბრძოლ მაგრამ თუ რომ ეს მიზეზები წ აუდგებიან ორ კომმუნის კავშირ ის მაინც, დიდ ცენტრების გარე გამო, დადგენილ იქნება. ხშირ ხდება ხოლმე, რომ ორი პატა ქალაქი შეუკავშირებია ერთი-ერ მანერთთან; იმათი იშვიათი შეხ დრა უმეტესად დაბოლავდება ხოლ უფრო შეტაკებებით, ვიდრე გაერთ ნებით. მაგრამ ორთავენი მხარს უ რენ ერთ და იმავე ცენტრს, ურ მლისოდაც არ შეუძლიანთ არსებ ბა; რაც უნდა მტრობა ყოფილი განმტკიცებული მათ შორის, მ მაინც გააერთიანებს ის დიდი ლაქი, სადაც შეაქვთ თავიან საქონელი და საიდანაც მოსდ სამზადისი (запасъ). თითოეულ იმა განმა, რომ იქონიოს თანაზიარო (сношеніе) ამ ცენტრთან და ამ გარშემო იყოს, იძულებულია შე

*) იხილე გაზ. «ხმა», № 7.

...ურმე იგინი საშინლად ცდებოდნენ. პოლიციის დეპარტამენტისათვის საჭიროა ცოტა ჭკუა და მხოლოდ ბევრი სისაძაგლე; და რა უნდა მეეპოვებოდა უკანასკნელი, პეტერბურგის მოღვაწეობის შემდეგ, იგი ფარული პოლიციელისაგან, გახდა აშკარა პოლიციელი კავკასიაში.

## რუსეთის ქრონიკა

—

ქ. კურსკში, 19 ივნისს გაიმართა მიტინგი, რომელშიდაც მონაწილეობას იღებდა 2000 კაცზე მეტი, რომელთა შორის იყო მრავალი სალდათიც. იქ გაგზავნილ ყაზახთა ნახევარ სოტნას ორატორები ეუბნებოდნენ მათი მისიის ხასიათზე. პოდესაულმა უბრძანა: „На коней" და რაზმმა მოჰკურცხლა. ხალხი მხიარულათ ეგებებოდა. კაზაკები იხდიდნენ ქუდებს და მხიარულად თავს უკრავდენ. სურათი ძალის წარმტაცი იყო. ღამით ლაზარეთის ბაღში განმეორდა დიდი მიტინგი და შემდეგ დაიშალენ რევოლიუციონურ სიმღერებით.

—

პოლიციელების გაქცევა ბევრ ადგილებში სწარმოებს. გენიჩესკიდან „კრ. ვესტნ". ატყობინებენ, რომ ადგილობრივმა პოლიციელებმა თითქმის ყველამ დაანება თავი სამსახურს და მათი ადგილების მსურველები კი არავინ არის, რადგანაც ეხლანდელ საშიშარ დროში შედარებით პატარა დაჯილდოვებისათვის არავინ არ გაიმეტებს თავს სასიკვდილოთ, მით უმეტეს, რომ, შედარებით, კარგი მოსავალი მელიტოპოლის მაზრაში შეძლებას აძლევს იშოვონ უკეთესი სამუშაო ქირა, ვიდრე პოლიციელის ჯამაგირია.

—

კურსკიდან „რუსკოე სლოვოს" ატყობინებენ, რომ ბაზრის დროს სოფ. დიაკონის გლეხს წალაპარაკება მოუხდა სალდათთან, რაიც ჩხუბით გათავდა. დრაგუნებმა იფიქრეს, რომ ბუნტი დაიწყოვო, იშიშვლეს ხმლები და იწყეს გლეხების ცემა-ტყეპა. გლეხებმა მიატოვეს ურმები და გაიქცნენ ბაზრიდან. სოფლელების სიტყვით დრაგუნებისაგან მძიმეთ გალახულების რიცხვი 22 კაცამდეა.

—

სამხედრო სამინისტრომ მისწერა 85 ვიბორგის პოლკის უფროსს, რომ 13 როტის ჯარის კაცები არ დააყენონ ხოლმე სადარაჯოდ, და არც გამოუშვან ხოლმე ყაზარმებიდგან.

(რუსკოე სლოვო).

—

სევასტოპოლიდინ გუშინ მიღებულია პეტერბურგში საშიში ცნობები. პროლიულ ქუჩაზე ხელმეორედ შედგა მიტინგი ჯარის კაცთა, რომელზედაც მოგროვდნენ ათასი ჯარის კაცი და ზღვაოსანი. სევასტოპოლიდან 13 ვერსზე, სანდელთად იყო გამართული მიტინგი 400 ზღვაოსნისა. როგორც პირველ, ისე მეორე მიტინგზე დაადგინეს ნდობა გამოეცხადებინად მშრომელთა ჯგუფისათვის სათათბიროში და მისი მხარის დაჭერა მომავალ ბრძოლაში. მთავრობა შეშინებულია ღამ-ღამობით უხსნიან კლიტეებს ზარბაზნებს ადმირალი ჩუხნინი სულ არ გამოდის სასახლიდან. მოაჯირი და ლობე მის სასახლის გარშემო ძალიან მაღალია.

—

ახლად გადაყვანილ პეტერბურგში გვარდიის ტყვიის მტყორცნელის როტაში, რომელიც დროებით იმყოფება ყაზარმებში ნეიშლოტის ქვეითა ჯარის პოლკში, შემდეგი ამბავი მოხდა, ახლად გადაყვანილ გვარდიელებს ყაზარმაში ქვეითა ჯარისა არ მოეწონათ ამათთან ერთათ ერთ სტოლზე პურის ჭამა, რაც შელახა მათი თავმოყვარეობა გარდა საჭმლის დაწუნებისა ისინი უკმაყოფილნი იყვნენ სარეცხით, საწოლით და სხვა. და ამბობდენ რომ თუ ამისთანა ცხოვრება შეუძლებელიაო იმ ცხოვრების შემდეგ, რომელიც ჰქონდათ ცარსკოსელის ყაზარმებში. 3 დღის წინათ, როდესაც შეატყეს ერთ სადილზე რომ საჭმელი იყო გაკეთებული საეჭვო ზეთით, გვარდიელებმა მოიწვიეს კომანდირი და ანახვინეს იმ საჭმლის გემო. კამანდირი შეჰპირდა, რომ შემდეგში ეს აღარ განმეორდება.

—

ვორონეჟიდან იტყობინებიან აგრარული მოძრაობა ძლიერდება; ყოველ-დღე მაზრებიდან მოდის ცნობები შესახებ და დაწვის თაობაზე. გლეხები მოსამსახურეებს და მუშებს ეკონომიებიდან და თითონვე აწესებენ დღიურ ფასს. ადმინისტრაცია მემამულეებს უარს ეუბნება დახმარებაში, რადგანაც სტრაჟნიკები და კაზაკები არ ჰყოფნის.

—

უბანში პოდვარსკის მამულში კორეევთან წარადგინეს მოთხოვნა: მიეცეთ 1 მანათი, მერე 3 მანეთი თითო ბჯაში. უარის მიღების შემდეგ, ეკონომიის მოსამსახურეები დაათხოვიეს. ბოქაულს და სტრაჟნიკებს დაეცნენ გლეხები. ბოქაული დაშავებულია ცულით ახლათ მოსული „ისპრავნიკი" კაზახებით, მოითხოვეს მეთაურების გაცემა. ორი საათის შემდეგ როდესაც უარი უთხრეს მათ კაზაკები შეუდგნენ ჩხრეკას. სოფელი მთლად წამოდგა და დაუწყეს ნაბათში ცემა. კაზაკებმა ღვდლის ნება დართვით ჩაამტვრიეს სამრეკლოს კარები, რათა შეაწყვეტინონ ნაბათის ცემა, იქიდან ორჯერ ისროლეს რევოლვერით.

ხალხმა იწია კაზაკებზე, რომელმაც მისცეს ტყუილი სროლა. ხალხი მაინც იწევდა კაზაკებზე მაშინ ამათ ერთბაშათ ისროლეს და მოჰკლეს ერთი დედაკაცი, დასჭრეს გლეხ-კაცი რომელიც მალე გარდაიცვალა. ხალხი დაიფანტა.

—

იმ ცნობებიდან, რომელიც მიღებული აქვთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სჩანს რომ უმთავრესათ აგრარული მოძრაობა გაძლიერებულია სარატოვის გუბერნიაში მომეტებულად სარატოვ, ატკარსკის და ბალაშოვის მაზრებში. გაქცევა მემამულეებისა ქალაქებში

---

ერთდეს ერთ და იმავე ფედერაციას.

მაგრამ ამ ცენტრს არ ექნება საკმაო მფლობელობა გარშემოხვეულ კომმუნებზე. ვაჭრობის და მრეწველობის სხვა და სხვაობის გამოისობით, ყველა დასახლებულ ადგილებს აქვთ რამდენიმე ცენტრი; ქალაქისმოთხოვნილებების განვითარების კვალობაზე, ისინი მიემხრობიან კიდევ ახალ ცენტრებს, რომელნიც დააკმაყოფილებენ მათ ახალ საჭიროებებს. ჩვენი მოთხოვნანი ისეთი სხვადასხვა გვარია და მრავლდებიან ისეთის სისწრაფით, რომ ერთ ფედერაციას არ ძალუძს მისი დაკმაყოფილება. კომმუნა საჭიროდ სცნობს დაადგინოს ახალი კავშირები, დაამყაროს ახალი ფედერაციები. თუ რომ ერთ ჯგუფში, რომელსაც ექნება დავალებული საჭმელ სანოვაგის შოვნა, იქნება წარმომადგენელი, მაშინ კომმუნა უნდა გახდეს წევრად მეორე ჯგუფის საჭირო საქონლის შესაძენად, მაგალითად, ლითონების (металловъ), მერე მესამის, მეოთხის ნივთიერების შესაძენად და გემოვნების ნაწარმოების და სხვა... აიღეთ ეკონომიური ატლასის რუკა, რომელ მხარისაც უნდა იყოს იგი, და ნახავთ თქვენ, რომ ეკონომიური საზღვრები არ არსებობენ: ზონები. (*) წარმოებისა და სავადასხვა სანოვაგის გაცვლა-გამოცვლა ერთი-ერთმანეთში ეჯახებიან; აგრეთვე ფედერაციების კომმუნებიც, თუ რომ ისინი გაჰყვებიან თავიანთ ბუნებრივ განვითარებას, დაიწყებენ ერთი-ერთმანეთში გარევას გაერთიანებას, რომელნიც შეჰქმნიან „ერთს და დაუყოფელს" ბადეს უფრო კომპაქტიურს (მჭიდროს), ვიდრე თანამედროვე სახელმწიფოები...

ისინი, ვინც ამბობენ, რომ კომმუნები, რომელნიც განთავისუფლდებიან სახელმწიფოს აპეკისაგან (მზრუნველობისაგან), მუდამ შეეჯახებიან ერთი-ერთმანეთს, იქონიებენ ომებს, ივიწყებენ, რომ ეხლა რამდენიმე ცალკ-ცალკე მხარებ შორის მჭიდრო კავშირია, წარმოების და ვაჭრობის ცენტრებთან შეზრების (тяготѣніе) გამო. ისინი ივიწყებენ და სცდებიან იმაში, რომ თავიანთგან წარმოადგენენ საშუალო საუკუნოებს თავიანთ მომწყვდეულ ქალაქქარავნებით, მდორედ მოძრავ გზებზე, რომელთაც მფარველობდნენ ბატონნი-ყაჩაღები. ისინი ივიწყებენ, რომ ხალხის, საქონლის, წერილების, ტელეგრამების და იდეების განუწყვეტელი ნაკადულები ბრძანებლობენ ჩვენ ქალაქებ შორის, ვით დაუშრეტელ ზღვა-ოკეანების წყლები; მათ არ აქვთ ნამდვილი წარმოდგენა იმ ეპოქების განსხვავებაზე, რომელთაც ისინი ერთი-ერთმანეთს ადრიან.

თვით ისტორია-კი გვეუბნება, რომ კაცობრიობის უმთავრეს მოთხოვნად გადაიქცა ფედერაციები. როგორც-კი სახელმწიფო აიშლდაიშლება რომელიმე მიზეზისა გამო და მთავრობის მანქანა დაჰკარგავს თავის ძალას, მაშინ თავისუფალი კავშირები თავისუფლად აღმოცენდებიან. მოიგონეთ ნება-ყოფლობითი ფედერაციები შეიარაღებულ ბურჟუაზიისა დიდ რევოლიუციის დროს. მოიგონეთ ფედერაციები, რომელნიც ისპანიაში აღმოცენდნენ და დასტოვეს დამოკიდებულობა მხარისა, როდესაც სახელმწიფო თავის ძირიან-ფესვიანად შენძრეულ იყო ძლევა-მოსილ ნაპოლეონის ლაშქრით. როგორც-კი სახელმწიფო ჰკარგავს შემთხვევას ძალამომრეობით შეინარჩუნოს აძულებული კავშირები,—თავისუფალი კავშირები, რომელნიც ეთანხმებოდნენ ბუნებრივ მოთხოვნილებებს, თავის-თავად ჩნდებიან. დაანგრიეთ სახელმწიფო და მის ნანგრევებზე აშენდება ფედერატიული საზოგადოება; ეს საზოგადოება იქნება მართლაც რომ მარტო ერთი და განუყოფელი, სავსებით თავისუფალი და ჭეშმარიტი სოლიდარული თავისივე თავისუფლების გამო.

მაგრამ არის კიდევ ერთი არსებითი განსხვავება, რომელსაც ვერ ხედავენ ჩვენი მოპირდაპირენი. საშუალო საუკუნოების კომმუნა ბურჟუაზიისათვის იყო განყენებული სახელმწიფო თავის სწორ აღნიშნულ საზოგადებით. ჩვენთვის კომმუნა არაა ტერმტორიალური აგლომერაცია*) ეს უფრო გვაროვნობითი გაგებაა, სინონიმი „თანასწორათ" შეჯგუფებისა, რომელნიც უარჰყოფენ საზღვრებს და მის ზღუდებს. სოციალური კომმუნა ახლო მომავალში თავისით აღარ წარმოადგენს რამე მთელს და სავსებით განმარტებულს. ყველა კომმუნის ჯგუფნი ძალა უნე-

*) ბერძ. სიტ.—სარტყელი, ნაწილი დედა-მიწის სიმრგვალისა, რომელიც, ჰაზროვნობით, გაყვანილია პარალელურ სიმრგვალის შორის.

*) ბერძ. სიტ.—წვრილ-მარცვლოვანი ნივთიერება, რომელიც შეერთებულია ბუნებრივად, რაიმე ცემენტით.

და დაბა ქალაქებში თითქმის მოდებულია. შინაგან საქმეთა სამინისტროში ფიქრობენ, რომ სარატოვის გუბერნატორი ენერგიულად არ მოქმედობდა. ამბობენ ახალ გუბერნატორის დანიშნულებაზე თუ ვინიცობაა საქმე გამწვავდა და გაგზავნაზე სარატოვის გუბერნიაში პეტერბურგიდან სრული უფლებებით რწმუნებულ პირს.

## კორრესპონდენცია.

**სამეგრელო.** დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენი ტვინ-შებოჭილი დოგმატიკოსები თავ-გამოდებით ქაფით პირზე იცავდნენ თავიანთ საარაკო „ჩამონაჭრების“ პროგრამმას. დიდი ხანი არ არის, რაც ყველა თავიანთ მოწინაალმდეგეთ დიდ მნიშვნელოვან ცხვირ აწევით უვიცებათ, უტოპისტებათ და ცხოვრებაზე ჩამორჩენილებათ ნათლავდნენ. განვლო მოკლე დრომ და ყველა თავისუფალ გონების პატრონმა ცხადათ დაინახა, რომ მათ მიერ წამოსროლილი სიტყვები სწორედ მათვე შეეფერებათ და მათი საუკეთესო დახასიათებაა. დღეს, როდესაც მთელი რუსეთის მრავალ რიცხოვანი გლეხობა ერთ ხმად ენერგიულათ და მრისხანეთ ითხოვს მთლად „მიწას და თავისუფლებას“, ამის შემდეგ სოციალ-დემოკრატების ჰაეროვანი აგრარული პროგრამა გასკდა ვით საპნის ბუშტი და ნათლად გამოაშკარავდა ამ პროგრამის თანამედროვე ცხოვრებასთან შეუსაბამობა. მაგრამ განა თვით ისინი აღიარებენ ამას? სულაც არა! ისინი ძველებურად ხალხის მესვეურათ სახავენ თავს და თავიანთ შეცდომებს ხალხს უმალავენ და აფუჩეჩებენ. ხშირად გამიგონია ხოლმე მათგან, რომ მშრომელი ხალხი მიწას არ ითხოვს, მას მიწა არ ესაჭიროება, რადგან ისედაც საყოფი აქვსო. ნეტავი რომელი გლეხებზედ ლაპარაკობდნენ ეს ვაჟბატონები, შეიძლება მასზე მცხოვრებნი ყავდათ სახეში, თორემ ჩვენში ყველა ჭკუათმყოფელ ადამიანისთვის ცხადზეც უცხადესია მიწის უკიდურესი სივიწროვე. აიღეთ სადაც გნებავს ღარიბი სოფლის მუშა, გამოკითხეთ მისი ეკონომიური მდგომარეობა და მაშინ ნახავთ რამდენად სულს უხუთავს მათ უმიწობა. აუცილებლად ესენი უპირველესად მიწის სიმცირეს შემოგჩივლებენ, ამის დამამტკიცებელი საბუთი მრავალთ-მრავალია, მაგრამ სხვათა შორის მე მინდა პატივცემულს მკითხველებს გაუზიარო შემდეგი; ამ მოკლე დროში სენაკის მაზრაში მდებარე თამაქონის და კიწიას საზოგადოების მკვიდრთ ასამდე კომლს მიწის სივიწროვის გამო განუზრახავს დატოვოს თავისი სამშობლო კერა და შავიზღვის ნაპირებს თავისუფალ ადგილებისაკენ გაეშუროს ამ მიზნით სოხუმის ოლქში უკვე გაუგზავნეს თავიანთი რწმუნებულნი თავისუფალ ადგილების დასათვალიერებლად. ამათ მოსწონებიათ სოხუმიდან რამოდენიმე ათეული ვერსის მანძილზე მდებარე მიწები და ახლა გადასახლების მსურველთ უნდათ შესაფერი შუამდგომლობა აღძრან მთავრობის წინაშე, რომ ეს მიწები მათ დაუთმონ. ერთ ასეთ გლეხს ურჩივს, რად მიხვალ სხვაგან, ახლა სათათბირო შეკრებილი და ის მალე დაამუშავებს თქვენს წყლულებსო. გლეხმა გონიერად მიუგო, რომ სათათბირო მათ არაფერს მისცემს. სათათბირო თუ რამეს გააკეთებს მხოლოდ მდიდრებისთვის, ხოლო ჩვენთვის ჩვენვე უნდა ვიზრუნოთო.

სწორეთ ასეთივე უნიადაგო ჩვენებური სოციალ-დემოკრატის ეროვნული პროგრამმაც. მათი ცენტრალიზმი და პატარა ერის დიდ ერში ხელოვნურად გალესვადი გათქვეფას მალე ის დღე მოელის, რაც ჩამონაჭრების პროგრამმამ განიცადა. ნათლად გაირკვიოს ხალხმა ამ საკითხის შესახებ ყოველგვარი აზრის მიმდინარეობა და მაშინ ვნახავთ მშრომელ ხალხში რამდენი მომხრე შერჩება სოციალ-დემოკრატების სათაყვანო ცენტრალიზმს. საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ წარმომადგენლობითი მმართველობის სისტემასაც კი ზოგი უნდო თვალით უცქერის. ამის დასახასიათებლად მოვიყვან ხალხში გაგონილ ერთ ანეგდოტს. „ნემეცმა საფრანგეთში რესპუბლიკის დამყარების შემდეგ ჰკითხა თავის ნაცნობ ფრანგს, გაუმჯობესდა თუ არა ხალხის მდგომარეობა მის ქვეყანაშიო“. ფრანგმა მიუგო: რომ „მხოლოდ მმართველობითი ფორმა შეიცვალა, მხოლოდ მდგომარეობა იგივე დარჩაო“ და ამით დააბოლავა თავისი სიტყვები: „Раньше управляла одна собака, а теперь управляетъ триста шестьдесятъ шесть собакъ“.

ცეხურის-პირელი.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს გაზეთ „მუშაში“.

ამ რამდენიმე დღის წინათ, მე მივემგზავრებოდი სოფლათ. სადგურზედ რომ მივედი, შემხვდა ერთი ამხანაგი. სანამდისინ ამხანაგი მოვიდოდა, თავი ვერ დავანებე ბარგს. ამხანაგს ვთხოვე რომ პატარახანს ყური ეგდო ბარგისათვის, სანამ მე წავიდოდი და „მუშას“ — ვიყიდიდი (სადგურზედ იმ ხანათ მოტანილი არ იყო). ჩვენს გვერდით სკამზედ იჯდა ხუცესი, ამ ხუცესმა რომ გაიგო „მუშის“ სასყიდლათ მივდიოდი, შემაჩერდა და მკითხა თუ რათ მინდოდა ეს გაზეთი? რასაკვირველია, მეც ვუპასუხე რისთვისაც ყიდულობენ ხოლმე გაზეთებს. ხუცესმა კიდევ მკითხა თუ როგორ მომწონს ამ გა- მიმართულება? მე მოვახსენე, რო- ლიან კარგი გაზეთი არის-მეთქი თან გკითხე თავათ როგორ მო- წონს, რაზედაც მიპასუხა, რომ აზრით გაზ. „მუშას“, მუშის ს- არ შეჰფერობს და საჭირო მ- სახელის გამოცვლა. ჩემს კითხ- თუ რათ? მიამსუხა: მისთვის რომ „მუშა“ არ იცავს მუშის ინტერეს- შემდეგში შევეკითხე თუ რითი ამ- ცებს რომ გაზ. „მუშა“ არ იცავს მუ- შის ინტერესებს? ამ კითხვაზედ ხუ- ცესმა მომცა შემდეგი პასუხი: „მე- მიუხედავად იმისა, რომ მე ბევრ- ბევრი ვეცადე შეგექმნებინა ნამ- ლი პასუხი, ხუცესმა მაინც არ მ- ასე ხდება ბევრი ამგვარი მაგალით- საჭირო თუ არა, მკითხველო, კაცმა ხეირიანათ იცოდეს ამა თუ გაზეთის მიმართულება და ისე მ- გეს კრიტიკას?

მ—ლი

## დეპეშები

(პეტერბურგის სააგენტო დეპეშები)

**ატკარსკი.** ელანში არეულობ- დროს მოკლულია საერობო და- ჯი, ბოქაული და ურიადნიკი.

**ვარშავა.** დოლგის ქუჩაზე ნობმა ბოროტ-მოქმედებმა თვეს 600 მანეთი შეარტელეს ლის რკინის გზისას. მოჰკლეს ერ- სალდათი და მეორე კი დასჭრ- ბოროტ-მოქმედნი მიიმალნენ.

**ვილნო.** თოფის წამლის ს- დაფში ჩააგდეს ბომბა, მაგრამ გასკდა. მსროლელი მიიმალა.

**ეკატერინოსლავი.** გასტრონ- მიური მაღაზია გაცარცვეს. ბორ- დოვოი, რომელიც გამოეკიდე მ- ცველებს, დაჭრილია.

**პოლტავა.** გუბერნატორმა მოუცხადა ურიების დეპუტაცია- რომ მიღებულია ყოველნაირი ზ- მები „პოგრომის“ შეწყვეტისა.

**ორიოლი.** გლეხებმა გადაწვ- ბეღლები და აგურის ბოსლები ფის ჩერნიშევი კრუგლოვის მამულ- ში. ნარიშკინის მამულიდან მო- ტაცეს თივა.

**ოდესსა.** გაიფიცნენ რკინის გზ- სარემონტო მუშები სადგურის ოდ- სსა—პორტი. უშველებელი სავაჭ- თოკის ნოვიკოვის ქარხანა, და სამსახურეები საქალაქო სამ- ლოსი, მოთხოვნა ეკონომიური.

**მინსკი.** სავაჭრო ბანკიდან მო- ტაცეს 980 მანათი.

**ვარშავა.** კელნერები ურ- რესტორანისა და შაქრის ქარ- მუშები იუზვფეოვისა გაიფიცნენ.

**პოლტავა.** გაიფიცნენ მე- კოჩუბეის ეკონომიისა.

**სლავიანსკი** ასი ათასი სა- მუშები აპირობდენ 25 ივ- იზიუმში თავის დაპატიმრებ- ამხანაგების განთავისუფლებას. ღებული ზომებით იყო შეჩერებ- ეს მოძრაობა.

რედაქტორ-გამომცემელი
მიხეილ დიასამ-

ბურად გამართავენ შეკითხვას იმისივე მზგავს კომმუნებთან, შეჰკრავენ მჭიდრო კავშირს და შეადგენენ კომმუნას, რომელიც იქნება დაყრდნობილი ინტერესების ერთიანობაზე და რომელსაც ეყოლება ყველა ქალაქსოფლებში თავისი წევრები.

ყველა ინდივიდუმი დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის იქონიებს რაიმე ერთობას სხვა კომმუნების ინდივიდებთან, იმისთანავე მოთხოვნილების მქონეთ.

დღითი-დღე ჩნდებიან ახალ-ახალი თავისუფალი საზოგადოებები, რომელნიც თანდათან სჩრდილავენ თვალ უწვდენელ მინდორს მთელ კაცობრიობის საქმიანობისას (дѣятельность). კაცი, თავის სამეცნიერო, სალიტერატურო, არტისტიულ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად არ ადგენს მარტო საზოგადოებებს. არა მარტო კლასიურ ბრძოლისათვის აარსებენ ხოლმე ახალ ლიგებს.

იშვიათია, რომ მრავალ-რიცხოვან და სხვა და სხვა გვარ დარგებს ადამიანის საქმიანობისას, რომელიც არ იყოლიებდა თავის წარმომადგენლად ნება-ყოფლობით შეერთებულ საზოგადოებას; მათი რაოდენობა დღითი-დღე იზრდება, იმორჩილებს თანდათან თვალ-უწვდენელ საქმიანობის მინდორს იმ დარგებით, რომელნიც უწინ იყვნენ სახელმწიფოს გამგეობაში. ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, წარმოება, ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, გართობა, გიგიენა, მუზეუმები, შორეული წინამდებარე საქმეები, პოლიალური ექსპედიციები, ტერიტორიის მფარველობაც კი, დაჭრილთ დახმარება და სასამართლოები... ყოველივე ეს წყაროა კერძო ინიციატივის აღმოცენებისა, რომელიც შემოსილია თავისუფალ თანასაზოგადოების (сообщество) ფორმაზე. ამგვარია ტენდენცია, ამ გვარია ტენდენცია, ამგვარია განმასხვავებელი თვისება მე-XII-ტე საუკუნის მეორე ნახევრისა.

ეს ტენდენცია, თავისუფალი თავის განვითარებაში, იპოვის ახალს დიდ ასპარეზს, სადაც შეიქმნება მომავალ საზოგადოების დედა ბოძად. სოციალური კომმუნა შემდგარი თავისუფალ შეერთებით, დაანგრევს ზღუდეებს და მოსპობს საზღვრებს. გაჩნდებიან მილიონობით კომმუნები, მაგრამ არა ტერიტორიალური, არამედ ანტი-ტერიტორიალური, სადაც მცხოვრებნი მდინარეებს, მთებ ოკეანებს შორის გაუწვდიან ერთი-ერთმანეთს მეგობრულად ხელს და სადაც ყველა ინდივიდუმებს, რომელნიც მოსახლეობენ დედამიწის ზურგზე სხვა-და-სხვა მხარეებში, შეაერთებენ ერთ „თანასწორ“ დიდ ოჯახად...

ვ. მ.

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა სახ. № 3.